აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 13

07 ოქტომბერი 2008 წელი ქ. ბათუმი

ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებების განსაზღვრის შესახებ

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის და 80-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია **ადგენს:**

მუხლი 1. „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ერთერთი საფუძვლის არსებობისას, უფლებამოსილი პარტიის მიერ დანიშნული საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, პარტიამ გადაწყვეტილება საოლქო საარჩევნო კომისიის ახალი წევრის დანიშვნის შესახებ უმაღლეს საარჩევნო კომისიაში უნდა წარადგინოს საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 2 დღის ვადაში. უმაღლესი საარჩევნო კომისია აღნიშნულ ინფორმაციას საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დამნიშვნელ პარტიას აწვდის დაუყოვნებლივ.

მუხლი 2. ამ დადგენილების პირველი მუხლით განსაზღვრული პარტიის მიერ თავისი უფლებამოსილების გამოუყენლობის შემთხვევაში, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის უფლება აქვს უმაღლეს საარჩევნო კომისიას, პირველი პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლიდან 5 დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი გამოქვეყნებიდან 1 კალენდარული დღის ვადაში

მუხლი 4. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე

კომისიის თავმჯდომარე	ა. მიქელაძე
კომისიის მდივანი	ქ. ჯიქია